თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ოქმი №15

ქ. თბილისი                                                                 2018 წელი, 08 მაისი, 12:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

რევაზ სოხაძე, გიორგი ტყემალაძე, დავით ჟუჟუნაშვილი, ხუტა დავითულიანი, დავით ომელიძე, თევდორე ისაკაძე, ვახტანგ შაქარიშვილი.

სხდომას თავმჯდომარეობდა: რევაზ სოხაძე

სხდომას არ ესწრებოდა: ნიკოლოზ ვაჩეიშვილი, გიორგი გახაშვილი, გოჩა თევდორაძე

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

1.გიორგი ბაიდარაშვილი- ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“ ის დირექტორი.
2.გრიგოლ ცერცვაძე ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ის დირექტორის მოადგილე.
3.კახაბერ ადამანაშვილია (ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“ ის დირექტორის მოადგილე.
4.თამარ ღლონტია-(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ის დირექტორის მოადგილე.
5.ნინო როსტიაშვილია(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“ ის წარმომადგენელი
6.გია გოგიჩაიშვილია(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“ ის წარმომადგენელი

დღის წესრიგი:

1.ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდის“ დირექტორის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „ქალაქის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში ფონდის საქმიანობის შესახებ პრეზენტაციის მოსმენა და მუშაობის სამომავლო გეგმების გაცნობა

(გიორგი ბაიდარაშვილი)

12:00 სთ - 13:00 სთ. (საკრებულოს ბიუროს ოთახი,თავისუფლების მოედანი № 2)

მოისმინეს: ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდის" დირექტორის ბატონ გიორგი ბაიდარაშვილის ინფორმაცია „2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „ქალაქის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის" ფარგლებში ფონდის საქმიანობის შესახებ პრეზენტაცია და მუშაობის სამომავლო გეგმების შესახებ" ფონდის მიზანია ქალაქის, მათ შორის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაცია გამაგრების მიზნით სტრატეგიის შემუშავება, კონკრეტული პროექტების დაგეგმვა, მისი განხორციელება ან/და შესრულებაზე კონტროლი. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების პარალელურად ფონდი გეგმავს თანხების მოზიდვას საერთაშორისო, უცხოური ორგანიზაციებიდან და იწყებს აქტიურ მოლაპარაკებებს დონორებთან და კერძო ინვესტორებთან. ფონდი ახალ პროექტებს განახორციელებს კვლევებზე დაყრდნობით, რომლებშიც ჩართული არიან ხელოეჩებათმცოდნეები, არქიტექტორები, რესტავრატორები და სხვადასხვა დარგის სპეციალისტები. ფონდი ქალაქის განვითარების სტრატეგიაზე მუშაობის პროცესში მჭიდროდ თანამშრომლობს როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო სექტორთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და მასმედიასთან, რათა რეაბილიტაციისა და განვითარების პროცესი გამჭვირვალედ და ეფექტურად წარიმართოს.

ფონდი შეისწავლის ქალაქის ისტორიული უბნების ტურისტულ და ეკონომიკურ პოტენციალს, მუშაობს ამ პოტენციალის გამოყენების სტრატეგიაზე და ხელს უწყობს თბილისის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებას.

(პრეზენტაციის ელექტრონული ვერსია შესაძლებელია იხ. CD დისკზე)

პრეზენტაციის მოსმენის შემდგომ საკითხის ირგვლივ კომისიის წევრებსა და ფონდის ხელმძღვანელობას შორის გაიმართა დისკუსია კითხვა პასუხის სახით.

13:00 სთ 15:00 სთ. - თბილისის მერიის და დედაქალაქის განვითარების ფონდის პროექტის „ახალი ტფილისი"-ს ფარგლებში, საკრებულოს და ფონდის წარმომადგენლებმა რამდენიმე ობიექტზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები

დაათვალიერეს. „სარეაბილიტაციო სამუშაოები ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის შესაბამისი წესების დაცვით მიმდინარეობს"

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე რევაზ სოხაძე, საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე და საკრებულოს წევრები ტაბიძის ქუჩა №18-ში მდებარე მაღალმხატვრული ისტორიული სადარბაზოს სარესტავრაციო სამუშაოებს გაეცნენ, სამუშაოების დათვალიერების პროცესში გამოითქვა მოსაზრება (რ. სოხაძე) სადარბაზოდან თელასის შკაფის გატანის თაობაზე. არქიტექტურულ-სარესტავრაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ სადარბაზოს იერსახე და ღირებულება მაქსიმალურად იქნება შენარჩუნებული. „სარესტავრაციო სამუშაოები პროექტ „ახალი ტფილისის" ისტორიული სადარბაზოების რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს. პროგრამა 35-მდე ისტორიული სადაბაზოს აღდგენას ითვალისწინებს.

სადარბაზოს სარესტავრაციო სამუშაოები მიმდინარე წლის გაზაფხულზე დაიწყო და მისი დასრულება წლის ბოლომდე იგეგმება.

შემდგომ, შეხვედრის მონაწილეებმა დადიანის ქუჩა N34 ში საცხოვრებელი სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერეს, შენობა XIX საუკუნის შუა წლებშია აგებული და ქვემო კალის განაშენიანების უნიკალურ ნიმუშს წარმოადგენს. საცხოვრებელი სახლი ძველი ქალაქის გალავნის ბურჯზეა აშენებული და მისი განსაკუთრებული ხიბლი თბილისური სახლისთვის დამახასიათებელი ჭვირული დეტალებით შემკული ხის მომრგვალებული აივანია. ამ ეტაპზე მიმდინარეობს სარდაფის სარესტავრაციო სამუშაოები, ფასადის მომზადება სამღებრო სამუშაოებისთვის, შენობის პერიმეტრზე არსებული ხის კარ-ფანჯრებისა და აივნების მოწყობა, ეზოს ხის ჭიშკრის დამზადება. გარდა ამისა, დაგეგმილია ეზოს კეთილმოწყობისა და შენობის შიდა სარემონტო სამუშაოები.

ფონდის ხელმძღვანელობის ინფორმაციით, პროექტის ფარგლებში დადიანის N34 ში უკვე გამაგრდა შენობა, შეიცვალა შიდა და გარე საინჟინრო საკომუნიკაციო ქსელი, ამოიწმინდა მიწით ავსებული სარდაფი, ხოლო სარდაფის კედლის ნაწილი გაიწმინდა და შენარჩუნდა ავთენტური სახით. გადაეწყო დადიანის N32-სა და N34-ს შორის საერთო გამყოფი კედელი, აღდგა დაზიანებული სახურავი, რესტავრირდა აივნები და მისი დეკორატიული ელემენტები, აივნის სვეტები და რიკულები, ხის დაზიანებული დეტალები შეიცვალა ახალი ანალოგიური ნაკეთობებით.

შემდგომ შეხვედრის მონაწილეებმა გუდიაშვილის მოედანსა და მიმდებარე ქუჩებზე გადაინაცვლეს და მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერეს. სადაც, საკმაოდ მასშტაბური სამუშაოები მიმდინარეობს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს პროექტები ხარისხობრივად მაღალ დონეზე ხორციელდება. ფონდის ხელმძღვანელობის განმარტებით, მუდმივად მიმდინარეობს მიმდინარე სამუშაოების მონიტორინგი და ისტორიული უბნის განვითარების მიმართულებით უახლოეს მომავალში საინტერესო პროექტები გვექნება

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარის რევაზ სოხაძის ოქმით, საკრებულოს წევრებმა „თბილისის განვითარების ფონდის" ხელმძღვანელისგან მიიღეს ინფორმაცია იმ სტრატეგიასთან დაკავშირებით, რომელიც დედაქალაქს ძველ უბნებთან მიმართებაში გააჩნია. სამუშაოების დათვალიერების პროცესში გამოითქვა მოსაზრება (რ. სოხაძე) ავარიული სარეაბილიტაციო საცხოვრებელი სახლებიდან დარჩენილი მაცხოვრებლების უმოკლეს ვადებში გაყვანის თაობაზე

სხდომაზე ცნობად იქნა მიღებული, ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდის" დირექტორის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „ქალაქის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის" ფარგლებში ფონდის საქმიანობის შესახებ პრეზენტაცია და მუშაობის სამომავლო გეგმები.

(პრეზენტაციის CD დისკი და სხვა მასალები ოქმს თან ერთვის)

კომისიის თავმჯდომარე: რევაზ სოხაძე